პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
დამოუკიდებელი ანალიზი
სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ხელშეწყობისათვის

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2018 წელი

1.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, **შემოსულობების** საპროგნოზო მოცულობა კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელოდ, 10 მლნ ლარით (0.1%-ით) იზრდება და შეადგენს 12,451 მლნ ლარს.

	2016 ფაქტი	2017 ფაქტი	2018 გეგმა (კანონი)	2018 გეგმა (ცვლილება)	2018 წ. ცვლილება / 2018 წ. გეგმა		2018 წ. ცვლილება 2017 წ. ფაქტი		2018 წ. 10 თვე / 2018 წ. გეგმა
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სულ შემოსულობები	**10,374.0**	**11,618.7**	**12,441.0**	**12,450.7**	**9.7**	**0.1%**	**832.0**	**7.2%**	**77.6%**
შემოსავლები	**8,580.0**	**9,750.3**	**10,314.2**	**10,464.9**	**150.7**	**1.5%**	**714.6**	**7.3%**	**83.6%**
გადასახადები	**7,986.8**	**8,991.3**	**9,490.0**	**9,690.0**	**200.0**	**2.1%**	**698.7**	**7.8%**	**83.3%**
საშემოსავლო გადასახადი	1,978.1	2,526.0	2,780.0	2,840.0	60.0	2.2%	314.0	12.4%	85.6%
მოგების გადასახადი	1,055.9	756.6	630.0	740.0	110.0	17.5%	-16.6	-2.2%	99.7%
დღგ	3,286.4	4,122.6	4,400.0	4,450.0	50.0	1.1%	327.4	7.9%	84.3%
აქციზი	1,069.7	1,450.9	1,450.0	1,420.0	-30.0	-2.1%	-30.9	-2.1%	80.7%
იმპორტის გადასახადი	70.0	71.6	60.0	70.0	10.0	16.7%	-1.6	-2.3%	103.2%
სხვა გადასახადი	526.6	63.6	170.0	170.0	0.0	0.0%	106.4	167.2%	-27.3%
გრანტები	**296.8**	**350.6**	**414.2**	**339.9**	**-74.3**	**-17.9%**	**-10.7**	**-3.0%**	**83.0%**
მ.შ. ბიუჯეტის მხარდამჭერი და სხვა გრანტები	153.4	201.9	250.0	200.0	-50.0	-20.0%	-1.9	-0.9%	94.4%
საინვესტიციო გრანტები	143.4	148.7	164.2	139.9	-24.3	-14.8%	-8.7	-5.9%	65.7%
სხვა შემოსავლები	**296.5**	**408.4**	**410.0**	**435.0**	**25.0**	**6.1%**	**26.6**	**6.5%**	**92.1%**
შემოსავლები საკუთრებიდან	71.7	141.8	151.0	188.0	37.0	24.5%	46.2	32.6%	110.5%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	80.6	99.7	80.7	80.7	0.0	0.0%	-19.0	-19.0%	75.6%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	57.4	55.3	60.0	75.0	15.0	25.0%	19.7	35.7%	109.1%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	23.1	19.6	2.4	2.4	0.0	0.0%	-17.2	-87.7%	372.4%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	63.6	92.1	115.9	88.9	-27.0	-23.3%	-3.2	-3.5%	64.8%
არაფინანსური აქტივების კლება	**246.3**	**97.6**	**60.0**	**100.0**	**40.0**	**66.7%**	**2.4**	**2.5%**	**147.3%**
ფინანსური აქტივების კლება	**88.7**	**119.1**	**80.0**	**100.0**	**20.0**	**25.0%**	**-19.1**	**-16.1%**	**111.5%**
ვალდებულებების ზრდა	**1,459.0**	**1,651.6**	**1,986.8**	**1,785.8**	**-201.0**	**-10.1%**	**134.1**	**8.1%**	**42.7%**
საგარეო	***1,080.6***	***1,252.1***	***1,586.8***	***1,370.8***	***-216.0***	***-13.6%***	***118.6***	***9.5%***	***38.3%***
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	*258.2*	*294.3*	*350.0*	*455.0*	*105.0*	*30.0%*	*160.7*	*54.6%*	*53.4%*
საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები	*822.5*	*957.8*	*1,236.8*	*915.8*	*-321.0*	*-26.0%*	*-42.0*	*-4.4%*	*34.0%*

საშინაო	**378.4**	**399.5**	**400.0**	**415.0**	**15.0**	**3.8%**	**15.5**	**3.9%**	**60.4%**

ცხრილი 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსულობების აგრეგატული მაჩვენებლის ცვლილება, შესრულების შედეგებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს - საშინაო წყაროდან - შემოსულობების (საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლები, ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლებისა და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები) ზრდას, ხოლო საგარეო წყაროდან - შემოსულობების (გრანტები და კრედიტები) შემცირებას, კერძოდ:

- **საგადასახადო შემოსავლების** გეგმური მაჩვენებელი იზრდება 200 მლნ ლარით (2%-ით) და განისაზღვრება 9,690 მლნ ლარით. ზრდა ძირითადად ხორციელდება მოგების გადასახადის 17.5%-ით (110 მლნ ლარით), საშემოსავლო გადასახდის (60 მლნ ლარით), დღგ-ს (50 მლნ ლარით) და იმპორტის გადასახადის (10 მლნ ლარით) გეგმური მაჩვენებლების ზრდის გავლენით, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, თავის მხრივ, დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის და ადმინისტრირების გაუმჯობესების შედეგად გადასახადების გადაჭარბებით მობილიზებასთან (მიმდინარე წლის 10 თვეში აღნიშნული გადასახადების სახით ბიუჯეტში მიღებულია წლიური გეგმის, შესაბამისად, 86%, 99.7% 84% და 103%). ამავდროულად გათვალისწინებულია აქციზის გეგმური მაჩვენებლის შემცირება 30 მლნ ლარით.
- **სხვა შემოსავლების** გეგმა იზრდება 25 მლნ ლარით და შეადგენს 435 მლნ ლარს. კომპონენტების დონეზე, საკუთრებიდან შემოსავლები (მიღებულია წლიური გეგმის 110%) იზრდება 37 მლნ ლარით, ხოლო სანქციების (ჯარიმების, საურავების) სახით შემოსავლები (მიღებულია წლიური გეგმის 109%) იმატებს 15 მლნ ლარით. კანონპროექტით ნებაყოფლობითი ტრანსფერების (გრანტების გარდა) მიმართულებით ბიუჯეტში ფაქტობრივად მიღებული თანხები უკვე აჭარბებს დაგეგმილ მაჩვენებელს (10 თვეში მიღებულია წლიურ გეგმური მაჩვენებელზე 6.5 მლნ ლარით მეტი, 8.9 მლნ ლარი[1]). რაც შეეხება შერეულ და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, შესრულების არსებული ტენდენციის გათვალისწინებით (10 თვეში მობილიზებულია წლიური გეგმის 65%), აღნიშნული შემოსავლების გეგმური მოცულობა მცირდება 27 მლნ ლარით (89 მლნ ლარამდე).
- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები მცირდება 74 მლნ ლარით და განისაზღვრება 340 მლნ ლარით. აქედან, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები მცირდება 24 მლნ ლარით, ხოლო საბიუჯეტო გრანტების მოცულობა - 50 მლნ ლარით, 200 მლნ ლარამდე (მათ შორის, ევროკავშირიდან მისაღები მიმდინარე დანიშნულების გრანტები მცირდება 63 მლნ ლარით 137 მლნ ლარამდე, ხოლო მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპებიდან/ა(ა)იპ-ებიდან - იზრდება 13 მლნ ლარით 63 მლნ ლარამდე), რაც დაკავშირებულია ევროკავშირიდან გრანტების ჩამორიცხვის მომდევნო წელს გადავადებასთან (ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ევროკავშირიდან მისაღები ზოგიერთი გრანტი, ნაცვლად 2018 წლის დეკემბრისა, შესაძლებელია ჩამოირიცხოს 2019 წლის იანვარში).

- **არაფინანსური აქტივების** კლების სახით (პრივატიზაციიდან) მისაღები თანხების გეგმა იზრდება 40 მლნ ლარით და შეადგენს 100.0 მლნ ლარს. ზრდა მთლიანად მოდის ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღებ შემოსულობებზე (მიმდინარე წლის 10 თვეში ბიუჯეტში

[1] მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა, შეადგენს 7.9 მლნ ლარს.

მიღებულ იქნა წლიური გეგმის 131%). აქვე საყურადღებოა, რომ ამავე კომპონენტში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობების მიმართულებით, ნაცვლად გეგმით დამტკიცებული 1.5 მლნ ლარისა, ფაქტობრივად ბიუჯეტში უკვე მიღებულია 9.2 მლნ ლარი.

- **ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობები მცირდება 201 მლნ ლარით, 1,786 მლნ ლარამდე, რაც ძირითადად დაკავშირებულია საინვესტიციო კრედიტების გეგმური მაჩვენებლის შემცირებასთან (10 თვეში ამ მიმართულებით ბიუჯეტში მიღებულ იქნა გეგმით გათვალისწინებული სიდიდის 34%). ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული კორექტირება განხორციელდა 2018 წელს დაგეგმილი ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულების ვადების გადაწევისა და ნაწილობრივ მომდევნო წლებზე გადანაწილების გათვალისწინებით. რაც შეეხება საბიუჯეტო კრედიტებს, აღნიშნული შემოსულობები იზრდება 105 მლნ ლარით და შეადგენს 455 მლნ ლარს. მატება ძირითადად დაკავშირებულია საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში 75 მლ ლარის ოდენობით სახსრების მოზიდვასთან, რომელიც 2018 წლის დამტკიცებული გეგმით არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW), ასევე ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია დამატებით 22.5 მლნ ლარის მიღება. ამავდროულად, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიისა და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა იზრდება 15 მლნ ლარით (415 მლნ ლარამდე).

1.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 12,467 მლნ ლარის დონეზე და 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 0.1%-ს შეადგენს. გასათვალისწინებელია, რომ 2018 წლის 10 თვის მდგომარეობით, გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 73.7%-ს უტოლდება. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, არსებულ გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ხარჯების (ე.წ. მიმდინარე ხარჯების) გეგმური მაჩვენებლის 201.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც ძირითადად უკავშირდება გრანტების მუხლით ხარჯების ზრდას 210 მლნ ლარით(აღნიშნული ეხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ზრდას 170 მლნ ლარით (ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, მათ შორის ავტობუსების შეძენის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის 120 მლნ ლარი, ხოლო 50 მლნ ლარი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტების დაფინანსებისთვის) და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის გეგმური მაჩვენებლის ზრდას 40 მლნ ლარით (260 მლნ ლარიდან 300 მლნ ლარამდე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში არსებული პროექტების განხორციელებისათვის). გარდა ზემოაღნიშნულისა, საქონელი და მომსახურებისა და შრომის ანაზღაურების მუხლებით და სხვა ხარჯების მცირედ ზრდას(ზრდის ტემპი 0.8%-1.6% მერყეობს) და პროცენტისა და სუბსიდიების მუხლით ხარჯების შემცირებას (შესაბამისად, 32 მლნ ლარით და 19 მლნ ლარით). რაც შეეხება გადასახდელების სხვა კომპონენტებს, პროექტი ითვალისწინებს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების(ე.წ. კაპიტალური ხარჯების) გეგმური მაჩვენებლის შემცირებას 163.4 მლნ

ლარით, ასევე ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით და ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების შემცირებას შესაბამისად, 17.8 მლნ ლარით და 12.5 მლნ ლარით.

	2016 ფაქტი	2017 ფაქტი	2018 გეგმა (კანონი)	2018 გეგმა (ცვლილება)	2018 წ. ცვლილება / 2018 წ. გეგმა		2018 წ. ცვლილება 2017 წ. ფაქტი		2018 წ. 10 თვე / 2018 წ. გეგმა
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სულ გადასახდელები	**10,292.2**	**11,764.8**	**12,459.5**	**12,467.3**	**7.8**	**0.1%**	**702.5**	**6.0%**	**73.7%**
ხარჯები	**8,741.8**	**9,372.1**	**9,720.9**	**9,922.4**	**201.5**	**2.1%**	**550.3**	**5.9%**	**76.3%**
შრომის ანაზღაურება	1,452.3	1,385.4	1,413.6	1,425.6	12.0	0.8%	40.2	2.9%	79.9%
საქონელი და მომსახურება	1,117.8	1,248.4	1,201.3	1,211.2	9.9	0.8%	-37.2	-3.0%	81.9%
პროცენტი	397.7	476.6	550.0	518.5	-31.5	-5.7%	41.9	8.8%	85.1%
სუბსიდიები	334.0	486.3	445.0	426.2	-18.8	-4.2%	-60.1	-12.4%	75.6%
გრანტები	960.5	1,346.2	1,379.0	1,589.0	210.0	15.2%	242.8	18.0%	58.8%
სოციალური უზრუნველყოფა	3,150.1	3,324.3	3,492.8	3,492.8	0.0	0.0%	168.5	5.1%	80.8%
სხვა ხარჯები	1,329.5	1,105.0	1,239.3	1,259.1	19.8	1.6%	154.1	13.9%	69.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**662.4**	**971.8**	**1,628.5**	**1,465.2**	**-163.4**	**-10.0%**	**493.4**	**50.8%**	**60.8%**
ფინანსური აქტივების ზრდა	**495.6**	**905.6**	**350.0**	**332.2**	**-17.8**	**-5.1%**	**-573.4**	**-63.3%**	**57.6%**
ვალდებულებების კლება	**392.4**	**515.4**	**760.1**	**747.6**	**-12.5**	**-1.6%**	**232.2**	**45.1%**	**76.3%**

ცხრილი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).

მხარჯავი დაწესებულებების დონეზე გადასახდელების დინამიკასთან დაკავშირებით[2], პროექტით გათვალისწინებულია გადასახდელების მიმდინარე გეგმური მაჩვენებლის არსებითი ცვლილებები შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის:

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 1,546.0 მლნ ლარით, რაც არსებულ გეგმურ მაჩვენებელზე 269 მლნ ლარით ნაკლებია, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების პროგრამის გეგმური მაჩვენებლის ცვლილების გავლენით. როგორც განმარტებით ბარათშია მითითებული, აღნიშნული უკავშირდება ზემოაღნიშნული პროექტების წინა მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივი და

[2] ამასთან გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.07.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010240010.05.001.018929) თანახმად მიმდინარე წელს განხორციელდა რამდენი სამინისტროს გაერთიანება, თუმცა წლიური ბიუჯეტის კანონში ტექნიკურად ასახვა ამ გაერთიანებების შეუძლებელია, შესაბამისად ზემოაღნიშნული კანონითვე განისაზღვრა, რომ 2018 წლის ბოლომდე წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული ბიუჯეტის განკარგვას განახორციელებენ უფლებამონაცვლე საბიუჯეტო ორგანიზაციების. ბიუჯეტის კანონში ცვლილების პროექტში ასევე შენარჩუნებულია პროგრამული კოდების დასახელებები მთავრობის სტრუქტურის ცვლილებამდელი მდგომარეობით და მითითებულია, რომ აღნიშნული პროგრამების ხარჯვაზე უფლებამოსილება განესაზღვრებათ უფლებამონაცვლე საბიუჯეტო ორგანიზაციებს, „„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი პროგრამული კოდის ასიგნებების განმკარგავების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის №1420 განკარგულების შესაბამისად.

რთული ეტაპებით, რის შედეგადაც აღნიშნული პროექტები ნაწილობრივ გადაინაცვლებს შემდეგ წლებში.

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია ასიგნებების ჯამური ზრდა 2.5 მლნ ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ზრდა 43.5 მლნ ლარით(განმარტებითი ბარათის მიხედვით, გუდაურის სათხილამურო ინფრასტრუქტურის (ახალი საბაგიროების მონტაჟი) მოწყობის ხარჯებისათვის), თუმცა გრანტების/კრედიტების სახით მიღებული დაფინანსების შემცირება შემცირება, შესაბამისად, 9.5 მლნ ლარით და 31.6 მლნ ლარით.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია ასიგნებების ჯამური შემცირება 12.3 მლნ ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო ასიგნებების ზრდა 12.2 მლნ ლარით და გრანტების/კრედიტების სახით მიღებული დაფინანსების შემცირება, შესაბამისად, 3.6 მლნ ლარით და 21 მლნ ლარით.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის გათვალისწინებულია ასიგნებების ჯამური ზრდა 45 მლნ ლარით, განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამისათვის;
- საქართველოს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისათვის გათვალისწინებულია ასიგნებების ჯამური ზრდა შესაბამისად 21 მლნ ლარითა და 27 მლნ ლარით.

დეტალურად მხარჯავი დაწესებულებების დონეზე ასიგნებების დინამიკა და 10 თვის მდგომარეობით, შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია დანართის სახით.

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებულია აღნიშნული გადასახდელების ზრდა 162 მლნ ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება ერთი მხრივ საშინაო და საგარეო ვალდებულებების მომსახურების/დაფარვის სახსრების 44 მლნ ლარით შემცირებას, და მეორე მხრივ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ზრდას შესაბამისად, 40 მლნ ლარით და 170 მლნ ლარით. პროექტით ასევე გათვალისწინებულია მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებების 10 მლნ ლარის ოდენობით ზრდა.

1.3. დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები (მლნ ლარი).

დასახელება	2016 ფაქტი	2017 ფაქტი	2018 გეგმა (კანონი)	2018 გეგმა (ცვლილება)	2018 წ. ცვლილება / 2018 წ. გეგმა		2018 წ. ცვლილება 2017 წ. ფაქტი	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	**8,580.0**	**9,750.3**	**10,314.2**	**10,464.9**	**150.7**	**1.5%**	**714.6**	**7.3%**
გადასახადები	7,986.8	8,991.3	9,490.0	9,690.0	200.0	2.1%	698.7	7.8%
გრანტები	296.8	350.602	414.2	339.9	-74.3	-17.9%	-10.7	-3.0%
სხვა შემოსავლები	296.5	408.4	410.0	435.0	25.0	6.1%	26.6	6.5%
ხარჯები	**8,741.8**	**9,372.1**	**9,720.9**	**9,922.4**	**201.5**	**2.1%**	**550.3**	**5.9%**
შრომის ანაზღაურება	1,452.3	1,385.4	1,413.6	1,425.6	12.0	0.8%	40.2	2.9%
საქონელი და მომსახურება	1,117.8	1,248.4	1,201.3	1,211.2	9.9	0.8%	-37.2	-3.0%
პროცენტი	397.7	476.6	550.0	518.5	-31.5	-5.7%	41.9	8.8%
სუბსიდიები	334.0	486.3	445.0	426.2	-18.8	-4.2%	-60.1	-12.4%
გრანტები	960.5	1,346.2	1,379.0	1,589.0	210.0	15.2%	242.8	18.0%
სოციალური უზრუნველყოფა	3,150.1	3,324.3	3,492.8	3,492.8	0.0	0.0%	168.5	5.1%
სხვა ხარჯები	1,329.5	1,105.0	1,239.3	1,259.1	19.8	1.6%	154.1	13.9%
საოპერაციო სალდო	**-161.8**	**378.2**	**593.4**	**542.6**	**-50.8**	**-8.6%**	**164.3**	**43.5%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**416.1**	**874.1**	**1,568.5**	**1,365.2**	**-203.4**	**-13.0%**	**491.0**	**56.2%**
ზრდა	662.4	971.8	1,628.5	1,465.2	-163.4	-10.0%	493.4	50.8%
კლება	246.3	97.6	60.0	100.0	40.0	66.7%	2.4	2.5%
მთლიანი სალდო	**-577.9**	**-495.9**	**-975.2**	**-822.6**	**152.6**	**-15.6%**	**-326.7**	**65.9%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**488.6**	**640.3**	**251.5**	**215.6**	**-35.9**	**-14.3%**	**-424.7**	**-66.3%**
ზრდა	**577.4**	**905.6**	**350.0**	**332.2**	**-17.8**	**-5.1%**	**-573.4**	**-63.3%**
სესხები	285.2	309.7	266.8	220.5	-46.3	-17.4%	-89.2	-28.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	210.3	595.9	83.2	111.7	28.5	34.3%	-484.2	-81.3%
კლება	**88.7**	**265.3**	**98.5**	**116.6**	**18.1**	**18.4%**	**-148.7**	**-56.0%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	146.2	18.5	16.6	-1.9	-10.3%	-129.6	-88.6%
სესხები	88.0	96.1	80.0	100.0	20.0	25.0%	3.9	4.1%
ვალდებულებების ცვლილება	**1,066.6**	**1,136.2**	**1,226.7**	**1,038.2**	**-188.5**	**-15.4%**	**-98.0**	**-8.6%**
ზრდა	**1,459.0**	**1,651.6**	**1,986.8**	**1,785.8**	**-201.0**	**-10.1%**	**134.1**	**8.1%**
საშინაო	378.4	399.5	400.0	415.0	15.0	3.8%	15.5	3.9%

საგარეო	1,080.6	1,252.1	1,586.8	1,370.8	-216.0	-13.6%	118.6	9.5%
კლება	**392.4**	**515.4**	**760.1**	**747.6**	**-12.5**	**-1.6%**	**232.2**	**45.1%**
საშინაო	59.9	61.3	35.1	35.1	0.0	0.0%	-26.3	-42.8%
საგარეო	332.5	454.1	725.0	712.5	-12.5	-1.7%	258.4	56.9%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		**0.0**	

დანართი 2: ასიგნებების დინამიკა მხარჯავი დაწესებულებების დონეზე (მლნ ლარი).

	დასახელება	2018 წლის კანონით განსაზღვრული გეგმა	2018 წლის ცვლილება	2018 წლის ცვლილება/2018 წლის კანონი (მლნ ლარი)	2018 წლის ცვლილება/2018 წლის კანონი %-ულად	10 თვის შესრულება	2018 წლის 10 თვის შესრულება კანონით განსაზღვრულ გეგმასთან
00 00	ჯამური	12,459,500.00	12,467,300.00	7,800.00	0.1%	9,186,931.00	73.7%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	62,131.00	62,131.00	0.00	0.0%	48,279.00	77.7%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,800.00	9,800.00	0.00	0.0%	11,413.00	116.5%
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,800.00	1,800.00	0.00	0.0%	1,541.00	85.6%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16,500.00	16,500.00	0.00	0.0%	15,249.00	92.4%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14,517.00	14,517.00	0.00	0.0%	10,742.00	74.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	67,058.00	67,058.20	0.20	0.0%	43,723.00	65.2%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,150.00	4,150.00	0.00	0.0%	3,076.00	74.1%

08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	8,400.00	8,400.00	0.00	0.0%	6,408.00	76.3%
09 00	საერთო სასამართლოები	71,150.00	71,150.00	0.00	0.0%	50,365.00	70.8%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	3,750.00	3,750.00	0.00	0.0%	2,544.00	67.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	800.00	800.00	0.00	0.0%	597.00	74.6%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	610.00	610.00	0.00	0.0%	485.00	79.5%

13 00	**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში**	735.00	735.00	0.00	0.0%	560.00	76.2%
14 00	**სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში**	725.00	725.00	0.00	0.0%	555.00	76.6%

15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	595.00	595.00	0.00	0.0%	474.00	79.7%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	585.00	585.00	0.00	0.0%	476.00	81.4%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	595.00	595.00	0.00	0.0%	390.00	65.5%

18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	860.00	860.00	0.00	0.0%	625.00	72.7%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	625.00	625.00	0.00	0.0%	468.00	74.9%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	124,000.00	127,000.00	3,000.00	2.4%	101,074.00	81.5%
21 00	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	82,010.00	86,210.00	4,200.00	5.1%	59,294.00	72.3%

22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,600.00	1,600.00	0.00	0.0%	1,203.00	75.2%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	82,300.00	82,300.00	0.00	0.0%	60,492.00	73.5%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	229,550.00	232,050.00	2,500.00	1.1%	130,973.00	57.1%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,815,000.00	1,546,000.00	-269,000.00	-14.8%	854,945.00	47.1%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	63,000.00	63,900.00	900.00	1.4%	68,931.00	109.4%
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	150,000.00	150,000.00	0.00	0.0%	114,798.00	76.5%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	120,950.00	141,950.00	21,000.00	17.4%	103,885.00	85.9%

29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	802,000.00	807,000.00	5,000.00	0.6%	659,431.00	82.2%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	569,590.00	596,590.00	27,000.00	4.7%	463,927.00	81.4%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	274,765.00	262,465.00	-12,300.00	-4.5%	197,100.00	71.7%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,186,215.00	1,186,215.00	0.00	0.0%	952,117.00	80.3%
33 00	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	285,255.00	302,755.00	17,500.00	6.1%	236,668.00	83.0%
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	96,200.00	141,200.00	45,000.00	46.8%	76,694.00	79.7%

35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,528,000.00	3,528,000.00	0.00	0.0%	2,894,733.00	82.1%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6,380.00	6,380.00	0.00	0.0%	4,387.00	68.8%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	5,700.00	5,700.00	0.00	0.0%	4,428.00	77.7%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.00	2,150.00	0.00	0.0%	1,304.00	60.7%
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.00	260.00	0.00	0.0%	181.00	69.6%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	55,500.00	56,500.00	1,000.00	1.8%	44,126.00	79.5%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	5,500.00	5,500.00	0.00	0.0%	5,744.00	104.4%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	52,522.00	52,522.00	0.00	0.0%	44,619.00	85.0%

43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2,100.00	2,100.00	0.00	0.0%	1,421.00	67.7%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2,460.00	2,460.00	0.00	0.0%	2,056.00	83.6%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,000.00	25,000.00	0.00	0.0%	22,237.00	88.9%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	4,200.00	4,200.00	0.00	0.0%	2,994.00	71.3%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	8,500.00	8,500.00	0.00	0.0%	7,011.00	82.5%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,000.00	4,000.00	0.00	0.0%	3,104.00	77.6%

49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,000.00	1,000.00	0.00	0.0%	1,023.00	102.3%
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,400.00	1,400.00	0.00	0.0%	981.00	70.1%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,000.00	2,000.00	0.00	0.0%	1,459.00	73.0%
52 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,330.00	5,330.00	0.00	0.0%	4,849.00	91.0%
53 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	500.00	500.00	0.00	0.0%	372.00	74.4%
54 00	კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო	500.00	500.00	0.00	0.0%		0.0%
55 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,500.00	13,500.00	0.00	0.0%	9,827.00	72.8%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,585,176.70	2,747,176.70	162,000.00	6.3%	1,850,029.00	71.6%
60 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	0.00	0.00	0.00		514.00	